გულადი

გ უ ლ ა დ ი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

ეძღვნება მამის ხსოვნას

შავლეგო და უშანგი ძიძიგურებისაგან

რედაქტორი **ვალერიან ვეკუა**

© გ. ძიძიგური, 2024

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2024

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-920-2

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ბედნიერია ერი, როდესაც სამშობლოს გუშაგნი გულანთებული მამულიშვილნი არიან. მტერი და დამპყრობელი საქართველოს არასოდეს დაჰკლებია, მაგრამ არც არასოდეს შეწყვეტილა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ომები, აჯანყებები და შეთქმულებები. სწორედ ამიტომ საქართველოს ისტორია დამპყრობელთა წინააღმდეგ ომების ისტორიაა უფრო.

იმპერიები ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ დედამიწაზე სამოთხე, რომელიც საქართველოდ იწოდებოდა. ამ სახელს ატარებს იგი დღესაც.

დამპყრობელი იმპერიების ჩამონათვალი გრძელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ვერაგად და პირსისხლიანად, შემდგომში ბოროტების იმპერიად აღიარებული აპოკალიფსური მხეცი, ერთმორწმუნე, დღეს უკვე ტერორისტული სახელმწიფო- რუსეთის იმპერია გვევლინება.

ცნობილი „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა, რადგან ამ „სამეგობრო'' ხელშეკრულების არცერთ პუნქტს შესრულება არ ეწერა. უფრო პირიქით, აქედან დაიწყო საქართველოს ანექსია–ოკუპაცია და საბოლოო კოლონიზაცია. გაუქმდა სამეფო ტახტი, ეკლესიის ავტოკეფალია, გაიძარცვა ეკლესია–მონასტრები, აიკრძალა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და სწავლა-განათლება.

დამპყრობელთა სისასტიკეს არაფერი საერთო არ ჰქონდა ერთმორწმუნეობასთან და ქრისტიანულ მორალთან, რასაც მოჰყვა მთიელთა აჯანყება, კახეთის გლეხთა აჯანყებები. შეიარაღებულ გამოსვლებს ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა სათავეში, მოგვიანებით გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები იყო გურიაში, სვანეთსა და სამეგრელოში.

მართალია, ამ გამოსვლებს, თავის სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა არასოდეს შეწყვეტილა, რაც კანონზომიერია და გარდაუვალი დაპყრობილ ქვეყანაში.

რუსეთის თვითმპყრობელობის ასწლიანი ბატონობის, რუსეთში ოქტომბრის რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველომ ცოტა ხნით დამოუკიდებლობა მოიპოვა. ოთხი წლის შემდეგ რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ვლადიმერ ულიანოვის ხელმძღვანელობით და ქართველი რენეგატების მეშვეობით (ს. ჯუღაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია და სხვ.) დაამხეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ხელმეორედ მოხდა ქვეყნის ოკუპაცია.

დამპყრობელთა წინააღმდეგ არცერთ ომში, საერთო ჯამში, არ დაღუპულა იმდენი ქართველი, რამდენიც რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში, აყვანილი გენოციდის დონეზე.

ორივე მსოფლიო ომმა ნახევარი მილიონი ქართველის სიცოცხლე შეიწირა, ამას დამატებული რეპრესიები და გადასახლებები. საერთო ჯამში, ბოროტების იმპერიამ ერთ მილიონზე მეტი შრომისუნარიანი ადამიანი მოინელა.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საბჭოთა იმპერიის რღვევას ხელი შეუწყო ავღანეთში საბჭოთა რუსეთის დამარცხებამ. სისხლიანი კრემლი თავისას არ იშლიდა, ცდილობდა არსებობის გახანგრძლივებას, მიუხედავად ამისა, იმპერიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ეროვნული ქარიშხალი თბილისში, სადაც ეროვნულ-

მა ძალებმა საბოლოოდ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და დამოუკიდებლობა მოითხოვეს.

კრემლმაც გამოაჩინა თავისი ბრჭყალები, 1989 წლის 9 აპრილს სისხლიანი კალო დაატრიალა მთავრობის სახლთან, არ დაინდო ქალები და მოზარდები, სამხედრო ნიჩბებით დახოცეს დემონსტრანტები საბჭოთა ჯარისკაცებმა. მღელვარება ქარიშხალივით მოედო სრულიად საქართველოს. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სათავეში იდგნენ ღირსეული მამულიშვილები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვახტანგ ჭითავა და სხვები.

გულრიფშის რაიონში ეროვნული მოძრაობის ავანგარდში პედაგოგ–მასწავლებლებისა და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა აიტაცა ეროვნული დროშა და სოხუმში დაიწყო საპროტესტო აქციები. გულრიფშის რაიონიდან დაიძრნენ დემონსტრანტები დედაქალაქისკენ. ძირითადი მამოძრავებელი სახალხო მღელვარებისა გულრიფშის რაიონი იყო, როგორც სოხუმთან ახლოს მდებარე ქართული რაიონი. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება განაგებდა ქვეყანას და ეს ართულებდა ბრძოლის მასშტაბურობას.

აქვე დროულია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის ღიად დაწყებამდე გულად ძიძიგური იყო ის ადამიანი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა პირველ პრეზიდენტთან ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან, ხშირად ჩამოდიოდა „კოლხურ კოშკში“ და ბატონ ზვიადთან ჰქონდა საუბრები აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე და იღებდა გარკვეულ დავალებებს. გულად ძიძიგური ბოლომდე დარჩა „კოლხური კოშკის“ იდეების მატარებლად.

ძირითადი მამოძრავებელი ძალა აფხაზეთში ეროვნული იდეეებისა გულრიფშის ქართული მოსახლეობა იყო. 1989 წლის ივლისის მოვლენების დროს ბესლეთელებმა და გულრიფშელებმა გადაარჩინეს სოხუმის ქართველობა მასშტაბურ სასაკლაოს, რომელიც აფსუა სეპარატისტებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. გულრიფშის ქართველობას სათავეში ედგა გულად ძიძიგური, ის იყო ყველა საპროტესტო აქციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

ეროვნული დროშით ხელში, „უშიშარი ვითარცა უხორცო“, ყოველთვის „იდგა იქ, სადაც ქარიშხალია“. გახლავართ მოწმე იმისა, რომ აფსუა სეპარატისტებმა კაციც კი მიუჩინეს (კაცს რატომ მიუჩენდნენ, ახსნას არ საჭიროებს).

მისი ღვაწლი აფხაზეთში ეროვნული საქმიანობის გარშემო – ეს ცალკე თემაა და დადგება დრო, როდესაც გახდება საფუძვლიანი განხილვის საგანი.

გულად ძიძიგურმა ლიტერატურული საქმიანობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო, სტუდენტობის პერიოდიდან. აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ წრეებსა და პოეზიის საღამოებში. მეგობრობდა აფხაზეთში მოღვაწე პოეტებთან გენო და რენე კალანდიებთან, ჯანო ჯანელიძესთან,ტიტე მოსიასთან, ჯემალ შონიასთან, აგრეთვე მურმან ზაქარაიასთან და სხვებთან.

ყველაზე დიდი სატკივარი, როგორც ყველა შემოქმედისათვის, მისთვის საქართველოა, კერძოდ აფხაზეთის ტრაგიკული ამბები. ეს უკურნებელი სატკივარი პოეტმა გამოხატა ლექსში „და ჩამოკიდეთ ქნარი ძეწნაზე“ (მუხრან მაჭავარიანს):

„რაც კი ლამაზი ზღვისპირეთია,

რაც კი ლამაზი მთა და მდელოა,
მოწმედ ამისა
მხოლოდ ღმერთია,
ახლა ის სხვისი საქართველოა'' ...

მამული და დედა – ეს განუყოფელი ცნებებია, დედიდან მოდის მამულის სიყვარული; რაც ლამაზია ამ წუთისოფელში, ყოველივეს საწყისი მაინც შვილისთვის დედაა. გულადიც გამონაკლისი არ გახლავთ ამ შემთხვევაში, დიდი სიყვარული ჰქონდა დედის მიმართ. მეც მიმიღია სითბო და პატივისცემა ქალბატონისგან, მათთან სტუმრად ყოფნისას ფანჯრიდან გადმოაწოდებდა გულადს ჩემს საპატივცემლო განსაკუთრებულ კერძს თეფშით. პოეტი ლექსში ,,წერილი დედას'' ამ სიყვარულს საოცარი სათნოებით, ფაქიზად გამოხატავს:

,,მომეძალა სითბო მზის და ლექსის,
მომეძალა ფიქრი შენზე, დედა,
თითქოს ქოხში ქურუბიმი კვნესის,
გლეხის ქალი – მონათლული ღმერთად!"

პოეტი ოცნებობს საქართველოს ძლიერებაზე და იგონებს იმ დროს, როდესაც მამულის საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული:

,, ... კიდევ ერთხელ ბასიანით,
კიდევ ერთხელ დიდგორით,
შემობრძანდი, დავით მეფევ,
ცათა შინა საუფლოს,
შენი ბასრი ჰოროლით და
შენი შავი ჰუნეთი,
აჰა კვერთხი აღზევების,
მეფის ტახტზე დაჯექი ... "

მაინც ყველაზე დიდი მოუშუშებელი სატკივარი პოეტისთვის აფხაზეთი რჩება:

„ო, ოსანა, აფხაზეთო!
გნატრულობ და გიგონებ...
მაგრამ მტერს ვერ ვუჩვენებ
ჩემს ცრემლიან სტრიქონებს...“

წინამდებარე წიგნი „გულადი“ გულად ძიძიგურის დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა და შესაძლებელი გახდება, ფართო საზოგადოება გაეცნოს პოეტის პოეზიას, სატკივარსა და გულისთქმას.

უპრიანი იქნება წინასიტყვაობის ბოლოს გამოსათხოვარი ლექსით – „ძმაო გულადი“ სულიერ ძმას და მეგობარს მივმართო:

შენ ხომ ვარსკვლავეთს მყისიერად მოსწყდი ვარსკვლავი,
ცა გადახაზე, მოიტოვე ნათელი კვალი,
ვერ გაასწორე ეს საწუთრო ფლიდი, მუხთალი,
მიდიხარ, მაგრამ ქვეყანაზე არ გრჩება ვალი...

წმინდა გიორგის მეომარო, რჩები მეომრად,
ქრისტეს მხედრები გიმღერებენ „შავლეგოს'' მარად,
ხმალთა კვეთებით რომ გალიე ამ სოფლად დღენი,
ერთი სიცოცხლე ქვეყანაზე მამულს უძღვენი...

ერთხელ თუ გაჩნდი წუთისოფლად, ერთხელ გაბრწყინდი,
სანთლად იწვოდი, გაანათე მწუხრი და ბინდი,
ცოდვილ მიწაზე გაიელვე, ცაში აფრინდი,
დედა სამშობლოს ეთხოვები, ჭმუნვის რაინდი...

შარავანდედით იმოსება კავკასიონი,
ილორს იხუტებს სიყვარულით დედა სიონი,
რომ გაბრწყინდება იბერია, ერი პურადი,
გაგიხსენებენ მეგობრები, ძმაო გულადი!..

შენ ხომ ვარსკვლავეთს მყისიერად მოსწყდი ვარსკვლავი,
ცა გადახაზე, მოიტოვე ნათელი კვალი,
ვერ გაასწორე ეს საწუთრო ფლიდი, მუხთალი,
მიდიხარ, მაგრამ ქვეყანაზე არ გრჩება ვალი...

დასტურ, ისე წარსდგები, ძმაო, უფლის წინაშე, ქვეყ-ნიდან აღარ მიგყვება ვალი...

ვალერიან ვეკუა,
რედაქტორი

და ჩამოკიდეთ ქნარი ძეწნაზე

(მუხრან მაჭავარიანს)

რაც კი ლამაზი ზღვისპირეთია,
რაც კი ლამაზი მთა და მდელოა,
მოწმედ ამისა
მხოლოდ ღმერთია,
ახლა ის სხვისი საქართველოა...
და ჩამოკიდეთ ქნარი ძეწნაზე,
სხვაფრივ ცხოვრება რა სათქვენოა?!
იქით – აფხაზის საქართველოა,
აქეთ – ოსების საქართველოა,
რისი მამული,
როს საქართველო
გასაჩუქრების ფართო ლელოა?
იქით – ვიღაცის საქართველოა,
აქეთ – ვიღაცის საქართველოა,
დადიხართ,
ფიქრობთ,
ღვთის კრავზე სწუხართ,
კრავიც ხომ უფლის გასამრჯელოა?!
რისი ქვეყანა,
ბატონო მუხრან!
ახლა ის სხვისი საქართველოა.
სატანას დაწვავს გოგირდის ცეცხლი,
მზის და ვარდების თვე რომ შემოვა
და დავიბრუნებთ გაყიდულს ვერცხლად,
რაც კი დღეს სხვისი საქართველოა.

წერილი დედას

მომეძალა სითბო მზის და ლექსის,
მომეძალა ფიქრი შენზე, დედა,
თითქოს ქოხში ქერუბიმი კვნესის,
გლეხის ქალი – მონათლული ღმერთად!
გვეუბნები, დავბერდიო, დედა,
ძველებურად ვერ ვმგზავრობო თქვენკენ,
თვალებს ვეღარ ვუსწორებო დელგმას,
შუაცეცხლი ვერ მითბობსო ნეკნებს.
ზოგჯერ გაფრთხობს ზამთრის დიდი ღამეც...
და მოჰყვები უსაშველო ჩივილს,
რომ აკლია შენს გულსა და თვალებს
შარლატანად მონათლული შვილი.
დარდისაგან ცოტას ჭამსო, მითხრეს,
დღე გააქვსო პურითა და ჩაით,
ეძალები თურმე ღამით წიგნებს,
თვალს აყოლებ ჩვენს ბავშვობას ჩავლილს.
მიმწუხრის ჟამს (ეს ჩვენს შორის დარჩეს),
როს საუფლო ლურჯ სამოსელს კარგავს,
ლოცულობ და მერე ქვეყნის გამჩენს
მუხლმოდრეკით სთხოვ, გეყოლოთ კარგად,
კარგადა ვართ, ჩვენზე ნუღარ დარდობ,
სული ღვივის, გამოვფხიზლდით თითქოს.
ცოდვილ ბავშვებს (საიდუმლოდ განდობ)
დავუბრუნებთ დედაენის სითბოს...
თმენის ნიჭი ოდითგანვე მოგვდგამს
(გვიან ვწვდებით მზაკვრულ ზრახვებს, ფარულს).
შევუნახავთ ჩვენს ჯიშსა და მოდგმას
ენას, რწმენას და საყვარელ მამულს!

მ ი მ ა რ თ ვ ა

ჩვენი სამშობლოს კორდებით და
დიდი მზის ეშხით,
ჩვენი ბიჭების სიყვარულით, ჩემო თოლიგე!
ძარღვთა სიშმაგე
მოგვითოკავს სულის სიღრმეში,
მერე შენც იცი,თუ რამდენი ბრძოლა მოვიგეთ.
მზეს ისევ შევრჩით, პირველყოფილს,
ასე პირწმინდად,
რადგან ძარღვს სისხლი არ მოაკლდა,
გულს – სიმხურვალე,
რადგანაც სული ბრძოლის ჟინით არ განიწმინდა,
იმ ბოროტთაგან
კრულვა-წყევლას მოველით ხვალეც.
ათიათასში,
ანდა კიდევ ოციათასში...
თუკი გაუგებს ჩვენს გულის თქმას,
სიკეთეს სავსეს,
ხვალ ვიღაც მგზავრი მივიწყებულ დღიურს გადაშლის
და ჩვენც გვექნება საფიქრალი
საყრელად თავზე...
გსმენია ოდეს ბრძენი კაცის ოქრო პირიდან
ლანძღვა, გინება და მით კაცის გაქილიკება?
თუ ფონს ვერ გავალთ,
მოვუაროთ სხვა ნაპირიდან,
დე, მწვერვალამდე მიგვიყვანონ სხვა ბილიკებმა...
ნუ გაგვაკვირვებს ფულიანთა მომჭირნეობა,
ვაი მას, ვინაც სიბრძნეშიაც სიძუნწეს იჩენს,
ლამპრად ავანთოთ კაცურკაცის წმინდა ზნეობა
და წინ გავუძღვეთ სიყვარულით ჩვენს ოქროს ბიჭებს.

ჩემს ბიჭებს –

შავლეგოს და უშანგის

როგორ შემიპყრობს თქვენზე ფიქრი,
შიშსაც ვგრძნობ ზოგჯერ,
თუმცა მახარებს ლურჯი ზეცა,
მზე, იდილია,
თავდავიწყებით ვევედრებით სამშობლოს კორდებს,
თითქოს ბუნებამ ამომიდგა ენა მინდიას...
სუნთქვა თუ გესმით,
დაგვფოფინებს წყეულ ჭილყვავი...
ფხიზლად,
სულ ფხიზლად, ჩემო შავლეგ!
ჩემო უშანგი!
ძაღლურ ცხოვრებაც თუნდაც გქონდეთ,
მაინც იყავით
თქვენი მამულის მეხოტბე და ფარიც, გუშაგიც.
როს ჩანგს ჩამოკრავთ
აღგზნებით და ზოგჯერაც თმენით,
აგიჯანყდებათ, ადუღდება სისხლი ქართველის,
ჩემო ბიჭებო!
სამი იყოს მეგზური თქვენი:
ენა,მამული და იესოს წმინდა სახელი!

მანამ კი ზამთრის დიდი ღამის ძილისპირული
მელიისა და ირმის ზღაპარს უნდა დაუთმოთ,
გულუხვობით და მეტისმეტი ხელგაშლილობით
როგორ დაკარგა მშვენიერმა თვისი საუფლო...
დაფრთიანდებით,
მოგეხსნებათ ტვირთი არცოდნის,
საწუთროს ბორბალს დაეყრდნობით თვალახელილი,
ლამპრად აგენთოთ
საქმე თქვენი კაიკაცობის,
თქვენზედაც რომ თქვან,
„კაცნი რომ ხართ, მწედ მოვლენილნი!

ა ფ ხ ა ზ ე თ ს

ო, ოსანა, აფხაზეთო!
გნატრულობ და გიგონებ...
მაგრამ მტერს ვერ ვუჩვენებ,
ჩემს სედვიან სტრიქონებს.
ლუციფერი ხარხარებს,
დრო დამდგარა კირთების,
ვოი, შენ რა გახარებს,
მოგვიმრავლდენ სკვითები.
ვუსმენ ქამელეონებს,
რისი ჰობი, რა ჰობი?
სალდაფონებს ვეომოთ
ლოცვებით და გალობით?!
ამორძალმა შეგვიპყრო,
ლაფაროში ნაწოლმა,
ნემეზიდა აპირებს
ბრძოლის ველზე გაძღოლას...
ო, ოსანა, აფხაზეთო!
დღეს ულუსთა ბუდევ,
დედისა და მამის საფლავს
სანთელს ვეღარ ვუნთებ.
ო, ოსანა, აფხაზეთო!
მონატრებავ ჩემო,
თუ ოდესმე დაგივიწყო,
ღმერთმა შემაჩვენოს.

კიდევ ერთხელ დიდგორით ...

(ანუ დავით აღმაშენებლის მონატრება)

ეგრისს გვესმა გალობანი
შენი „ სინანულისანი“,
ოკრიბს,
ოლთისს და თაბორში –
ყველგან რეკავს მწუხრის ზარი.
ერწუხით თუ სამშვილდეთი,
შენი ენით ძირძველით,
ღმერთო,
გვიან შეგიცანით,
ღმერთო,
გვიან გიგრძენით!
მოწყალეა ერი ჩვენი,
მტერსაც უნდა შენდობა...
რიგზე იდგნენ: კაცხთან, ტბეთთან,
ამ მიწის და ცის მდომნი,
კიდევ ერთხელ არტანუჯით,
კიდევ ერთხელ ნოსტეთი,
კიდევ ერთხელ ბასიანით,
კიდევ ერთხელ დიდგორით –
შემობრძანდი, დავით მეფევ,
ცათა შინა საუფლოს,
შენი ბასრი ჰოროლით და
შენი შავი ჰუნეთი,
აჰა, კვერთხი აღზევების,

მეფის ტახტზე დაჯექი,
თქვი, სარანგო, დვრიტა შენი
მოგიხდება რა უფრო,
მტკივა შენი ჰერეთი და
შენი ტაო-კლარჯეთი!
აღმატებულ ღვთის ბუნებით,
შენი ერის მსახურებით,
ერთმრავლობით ეგრისს მოხვალ,
ქუთაიას გავლით,
ნიჭით, სიბრძნით, ელვარებით,
მკლავის ძალით, ძლიერებით,
გვენატრები, დავით!

ი ა შ თ უ ხ ა ს

ანუ ადგილის დედის მონატრება

ო, იაშთუხა! ტკივილო და დარდო,
ძვალთშესალაგო დედისა და მამის,
ნოსტალგია გულს თანდათან ადნობს,
მონატრებამ გადამრიოს ლამის.
მოგონენებს ლურჯ აფრებად გავშლი,
ჯანდაბამდე გზა ჰქონია სევდას,
იქ, მუხის ქვეშ, ელოდება ბავშვი
ბაზრობიდან დაბრუნებულ დედას...
ფეხშიშველა, თითისტოლა ბიჭი
თავს აფარებს წყაროს წყალთან ჩეროს,
ო, წარსულზე მოგონება მიმძიმს,
იაშთუხავ, მონატრებავ ჩემო!
სათიბების მონატრება მახსოვს
და წუხილი კაფანდარა ქალის...
ვითვლი დრო-ჟამს –
მწარე ფიქრით ნაქსოვს,
ღამის წყვდიადს დასისინებს ქარი.
მძიმე ტვირთად ვაწვებოდით ქალღმერთს,
ორი ძმა და ორი დაი წყვილი,
ოთხი მართვე,ოთხი გულის ფეთქვა:

ნელი, გივი, გულადი და ლილი.
ბავშვი იგი გადასცილდა შუადღეს,
შენთვის გული სიამაყით უცემს,
შენ წინაშე მართალია ცამდე,
როს გადაშლი ისტორიის ფურცელს...
სურვილი მკლავს მხოლოდ შენი ნახვის,
შენი მზის და შენი წყაროს წყლის,
მოგრევია, ვიცი, ფერი თალხის,
მწუხრის ჟამი და სიშავე ცის.

ჯიხაშკარი

აქ განიხვნა ხელმეორედ ცის თაღი...
რა გოდება,
რა მოთქმა და
რა ზარია!
მესიზმრება შეწირული თეთრი კრავი,
სალოცავი ავაშენოთ, ზარანდია!
შენ გოდებდი,
სატანა კი ხარხარებდა
(საქართველო ცარიელი ტაძარია),
ოცდაათი ალბათ ოქრო ახარებდა.
ოდაბადე რომ გაყიდა, ზარანდია!
ნუღარ გვინდა კაენისა მოკვდინება,
უფლის რისხვა
წვეთწვეთობით ხომ მზარდია?!
ვიქონიოთ იობისა მოთმინება,
სულ ყველაფერს მოვესწრებით, ზარანდია!
აღზევდება სული ისევ კოლხურ გენის,
სულში დარდი,
ჩანისლული, გადაიარს,
შეიკვრება კვლავ ერთ მუჭად ჩვენი ერი
და ლაზარეც აღდგინდება, ზარანდია!

თქვით, ქალბატონო!

გეძებთ, მოგელტვით იობის თმენით,
ვითარც მოწაფე ბრძენსა და მოძღვარს,
ეხ, ქალბატონო,
სიკეთე ჰქენით,
მაგ ტკბილ ბაგედან მასმინეთ ლოცვა.
საქართველოში დღეს მართლა ბნელა,
საძებარია კაცი სანთელით...
თქვით, ქალბატონო,
არსით არს შველა?!
თქვით, ქალბატონო, თქვენი სათქმელი...
ჯოჯოხეთია თქვენთვის და ჩემთვის
ცხოვრება,
ასე უმისამართო,
არა გწამს ღმერთი ?!
თქვით, რომ ეროსის მადლმა დაგათროთ.
ყმაწვილქალობის სამოსელს გაცლით
მაცდური ჟამი,
საით მიგყავართ ?
ეხ, ქალბატონო, ბოლომდე დაცლით
სასმისს და შემდეგ იტყვით „ მიყვარხართ ? ‘’
თუ არ დამიცხრობთ ამ დღეთა წყურვილს,
ისე საწუთრო როგორ დავტოვო ?!
სხვას ვისღა ძალუძს
განკურნვა წყლულის,
ჯერი თქვენზეა,
თქვით, ქალბატონო!

ს ი ზ მ ა რ ი

შვიდგზის სანატრელო!
წუხელის მესიზმრე,
მზის ქიმზე იდექი ჩამოშლილ თმებით,
სადღაც კი უკრავდა მეთარე, მესტვირე,
შორიდან ისმოდა გალობის ხმები.
იცოდი, რომ შენთან ამოსვლას ვლამობდი,
აღარ მასვენებდა ეს სისხლი მბორგავი,
ცის თაღზე გამოჩნდა მცხუნვარე მნათობი,
ჩემამდე დაუშვი შენც თოკის გორგალი.
თუ ვაჟკაცი ხარ,
(მთელი ხმით მიყვირე)!
ჩასჭიდე თოკს ხელი და ჩემთან ამოდი,
ფეხი არ დაგიცდესო,
გმართებსო სიფხიზლე,
თავს გაუფრთხილდიო! – ბრაზობდი, დავობდი.
ბოლო საფეხურზე ჩამჭიდე ხელები
და მეც, სასურველო,
შენს გვერდით აღმოვჩნდი.
მითხარი, – მომდისო მეც ელეთმელეთი,
სად იყავ აქამდე, რისთვის არ გამოჩნდი ?!
გული თუ გულობსო,
ესაა მთავარი,
ამ წუთისოფელში გქონდესო მიზანი,
ერთგულებააო მწუხრის ჟამს მთავარი,
რა იყო, ძვირფასო?
ამიხსენ სიზმარი!

ვილოცოთ მასზე

დღეს საქართველო სატანების სათარეშოა
და ტაძრებს ჩვენსას,
უპატრონოს,
ეშმაკნი ფლობენ...
დაფნის გვირგვინი ბრძენისათვის თხმელის ნეშოა,
ხოტბას ასხამენ ბოროტებას,
სიკეთეს გმობენ.
აი, ასეთ დროს, მარტოობა ჩემი რად გიკვირს?
როგორ არ გესმის,
შენთან ყოფნა მე როგორ მშველის,
ზოგჯერ ვკითხულობ გალაკტიონს,
ვაჟას და კიპლინგს
და ზოგჯერ ტკივილს დამიამებს აზრები შელლის.
როს დაღამდება და საკუთარ თავთან დარჩები,
იქნება მწყევლი,
ჩემზე იქნებ კიდეც ლოცულობ!
ნუთუ არ გესმის განწირული ძახილი ჩემი?
მე შენ მოგიხმობ,
სასურველო, შიშით მოცულო.
ფრთხილად,
მოჯარულ სევდასა და ფიქრს არ მიენდო,
ჯანდაბას იქით,
მოიშორე მძიმე დარდები,
ფიქრთა ალმურში გახვეულო,
ღმერთმა ინებოს,
შენს ეზოს უკან კვლავ იხილო ია -ვარდები,

სოხუმში დარჩა ბავშვობა და
ყმაწვილქალობა,
ტკბილზე ტკბილია მოგონება დედულ-მამულის,
თითქოს ჩაგვესმის ბულბულების სტვენა-გალობა,
თითქოს დღეს იგრძენ
კენჭა გოგომ ტრფობა ფარული...
ასე გაგრძელდა გარდასახვა გარდასულ დღეთა,
არა ზმანებით,
არც მირაჟით და არც სიზმრებით,
ვილოცოთ მასზე,
რაც გვიბოძა მაღალმა ღმერთმა,
ვილოცოთ,
სანამ იმ საუფლოს გავიხიზნებით...

მივუყვები ჯავახეთის აღმართს

მივუყვები ჯავახეთის აღმართს,
მარტოდ ყოფილს შენზე ფიქრიც მშველის,
გულის ძახილს ვეღარ გაწვდენ გაღმა
და გზას მიბნევს მოლანდება შენი.
მივუყვები ჯავახეთის აღმართს,
ბახუსში ვარ და ვერ ვთრგუნავ ფიქრებს...
მომაწვდინე ხმა,
სადა ხარ ახლა,
გონს მოვეგო, გამოვფხიზლდე იქნებ.
მივუყვები ჯავახეთის აღმართს,
გზა მაქვს შორი,
თუ გაუძლო გულმა,
მარტოსულმა უშენობით რა ქნას,
როს ბაგენი შენი ასე სდუმან?!
მივუყვები ჯავახეთის აღმართს
და მომყვება ანათემა შენი...
სხვა საშველი აღარ არის ახლა,
მხოლოდ შენთან საუბარი მშველის.

1998 წ.
ქ. თბილისი

ყველაფერი დავკარგე...

შენ არ ხარ
და ირგვლივ
ყველაფერი მომწყინდა,
მახსენდება, ძვირფასო,
მზე რომ სულს გიკოცნიდა,
და ის ღამეც, მთოვარი,
გულში რომ შემობრწყინდა,
მთვარის შვიდი სანთელი
ქათქათა მხრებს კოცნიდა.
და ის სიოც, სიანცით
ქოჩორს რომ მიკოცნიდა,
და ის წყაროც,წყურვილით
ტუჩებს რომ გვიკოცნიდა.
„ხვიჩა -ხვიჩა ვარსკვლავები“,
ჩვენთვის რომ ჩამოცვივდა
და ველური ყვავილები
გულმკერს რომ გვიკოცნიდა.
რომ მეძახდი კისკისით
ამაღლებულ ბორცვიდან,
თმაქოჩორა ყმაწვილი
თვალებს რომ გიკოცნიდა.

ყველაფერი წავიდა,
ყველაფერი მომწყინდა!
თავს დავაღწევ სულ მალე
ამ ცრუ გარემოცვიდან,
გავიხსენებ იმ ცრემლებს,
თვალებიდან რომ ცრიდა.
სულის სიანკარეა
პირველყოფილ კოცნიდან...
ყველაფერი წავიდა
ყველაფერი მომწყინდა!

2000 წ.
ქ. თბილისი

შემოდგომის მიწურული

არ დაგიკარგავს ოქროსფერი შენი სამოსი,
იქ შენს ფეხთ ჰყრია,
რომ შეიგრძნო მიწის სინედლე,
შესვი ?
გაამოს!
კუთვნილ სასმისს როცა გამოცლი,
მშვენება შენი უნდა დათმო,
უნდა მინებდე.
შეძლებ!
ვინ იცის,
მიიწურა დღე დღევანდელიც,
ათასი ფიქრით,
ოცნებებით, განცდით და თრთოლით,
ჩამოჰკარ ჩანგს და გულნატკენი კიდევ რამდენი
აგიჯანყდება და ყველაფერს დაფარავს თოვლი,
ჰო, კიდევ ერთხელ,
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
უნდა ამღერდე,
უნდა შეგრჩეს ძველი იერი,
ააშრიალე ოქროსფერი შენი სამოსი,
თორემ ვინ იცის, რას მოგიტანს დასალიერი!

ადამიანი

მე შენ გეძებდი,
მე შენ გიპოვე,
და ჩვენ წინ გაჩნდა დიდი ქვეყანა,
ჩვენ მრავალი ძმა გამოვიგლოვეთ,
რომ მეტი სისხლი არ დაგვეღვარა.
და დღეს ქალაქის ფართო ქუჩებში,
და დღეს ქალაქის ფართო თვალებში,
ისმის ხმაური მკაცრი მუშების
და შენ უყურებ, როგორც დაგეშილ
მწევარს უყურებს კაცის თვალები,
ქალაქს და გინდა რაღაცის პოვნა,
ნებით თუ ვისმეს ძალდატანებით
მიიღო შენი დიდი ხნის თხოვნა...
შენ როგორც იტყვი,
შენ როგორც გინდა,
მე თანახმა ვარ და ჩემი ტვინიც
შენ შეგითვისებს, ერთგულ მეგობარს,
და როგორც სულში ჩარჩენილ ტკივილს, –
მე შენი გულის ფეთქვაც მეყოფა.

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ნათელხილვაა თუ გულთა კრთომა?!
ორთავეს სულში ტკივილი ბუდობს,
ნანატრი ჟამი უცილოდ მოვა,
ავანთებთ ისევ კელაპტარს უქრობს.
ჩემს გიჟურ ლტოლვას ვერ შეაჩერებს
ასე ულმობლად გაფრენა წლების.
კარს გაგიღებ და... გულსაც გაჩვენებ,
ვერ მოგიშორე, ამ ლექსს რომ ვწერდი.
ახლა ღამეა,
ბინდი ჩამოწვა,
ტკივილებს ბადებს სიშმაგე გულის,
ალბათ ჩვენც გველის მკაცრი გამოცდა,
ძნელია რადგან განკურნვა წყლულის.
ერთფეროვნება, იცი, რომ მტანჯავს,
გავრბივარ და შენს დროსა და სივრცეს,
ულმობელობას,
სისხლ-ხორცში გამჯდარს,
ლამის შევასკდე, რა გული გიცემს ?
აზიურ სისხლში ყივილი გესმის
და მაინც მორცხვად მარიდებ სახეს,
ისევ მაფიქრებს ადათი, წესი,

ძალა ლტოლვისა რომ გიგებს მახეს.
ისევ მოგძახი უდაბნოს მგზავრი:
ძირძველ მიწაზე ჩვენ დავბრუდებით!
ისევ დარისხავს იმედის ზარი,
გველის ლურჯი ზღვა, ხოდაბუნები.
უზენაესმა შემინდოს გრძნობა,
რომელიც მე მაქვს შენდამი, კარგო,
იცი! ვერ ვიტან მე თვალთმაქცობას,
ველტვი სიშორეს,
                    რომ არ დაგკარგო.

ჩაფიქრება წუთისოფელზე

მწუხრის ჟამს გულს ამხნევებს
მეზობლის გადმოძახება:
იჩქარე, თორემ სავალი
გახდება ბინდისფერადა,
სოფლის შეცნობის სურვილით
წყურვილი უფრო მძაფრდება,
გვეცოტავება ოხერი,
სიცოხლით სავსე ხელადა...
ზოგი ბოლომდე დაცლის და
ზოგსაც ნახევარს აკმარებს,
იქ მესამედი აკლია,
იქ კიდევ ცოტა შეუსვამთ,
ანგელოზების სასმისი
ტუჩმიუდებლად კამკამებს,
ბუნებას წუთისოფლისთვის
მაცდური ფერი შეუსხამს.
დალიე, ჩემო მოყვასო,
თორემ ყველაზე ულმობელ
მსაჯულს მოველი და სასმისს
დაგვაცლევინებს თავადა,
და იმ გზას,
დღეს რომ გარდაცვლილს
დიდი პატივით უთმობდნენ,
დადგება ჩვენი ჯერიც და
ვეღარ ვიხილავთ თვალადა.
რას ჩაგიქინდრავს ნეტავი

თავი მაგ მწარე ფიქრებით ?
ყველაზე ულმობელია
საწუთროს ჭაში ჩახედვა,
ჩამოკრავს ბინდი ღამისა,
სევდის მომგვრელი იჭვებით,
მივყვეთ გონებას ფეხდაფეხ,
თუმცა ტკბილია თვალხედვაც...
ბედის ბორბლისა ტრიალი
ჰგავს მოგიზგიზე ცეცხლს ბუხრის,
როცა ჩაქრება, მაშინ გვსურს
ყოფნა- არყოფნის შეცნობა,
ჩვენ ვინ ვართ, ჩემო მოყვასო,
როცა სამყარო ქედს უხრის
საწუთროს ამაოებას,
ვითარც შხამიან ლენცოფას!

კაი ყოფილა, ბეჩავო

(ექსპრომტი)

წუთისოფელო, ლუკმასა
რა უგემურად ვღეჭავო,
აღმოსავლეთით ჩვენა ვართ,
იქით შავლეგ და ჭეჭაო.
ოჯახსა უნდა პატრონი,
მტრისა ჯავრისა შეჭმაო,
აქეთ ჩვენ ვჯავრობთ თქვენზედა,
იქით – შავლეგ და ჭეჭაო!
ნუ იცი, ჩემო თოლიგე,
ფიქრთა მორევში შეჭრაო,
სულ ყველაფერსა მირჩევნის
შავლეგ, უშანგი, ჭეჭაო!
კაი ყოფილა, ბეჩავო,
თვალი თვალისად ჭვრეტაო,
მომენატრებით, კარგებო,
ჩემო შავლეგ და ჭეჭაო;
ღვინოსა უნდა შესმაი,
პურს – მადიანად ღეჭვაო,
სულ მალე თქვენთან ვიქნები,
ჩემო შავლეგ და ჭეჭაო!

რა დიდებული ყოფილა...

ჩემს უფროს ვაჟიშვილს შავლეგოს

მხატვრული ძეგლის სიძველეს
გვიქებენ, შვილო შავლეგ!
ერის სიძველეს გვიქებენ
იუნესკოში ახლა,
ათას ხუთასი წელი,
გამომვლელსა და გამვლელს,
ლოცვა მოგყვება იაკობის
და სიმამაცეც გვახლავს.
რა საამაყო ყოფილა,
შავლეგ, ენა და ნიჭი...
რა დიდებული ყოფილა
მშობლიურ მიწის სითბო,
თურმე იაკობიც ყოფილა
შენი ოდენა ბიჭი,
ღამეს ათევდა კითხვით და
სამკელსაც მკიდა თვითონ...
იაკობობას მოგთხოვენ
შენც მომავალში, შავლეგ!
სულის ნაწილსაც მოგთხოვენ ,
ზოდიაქოსი კდემით,
შთააგონებდე, შვილო,
გამომვლელსა და გამვლელს
მშობლიურ მიწის დაცვას:
კალმით,
ნიჭით და
მკერდით!

უ ჩ ი კ ო ს

საღამოთი ცხრა საათზე
მოისვენო უნდა,
დილით რვაზე უნდა ადგე,
ეს გახსოვდეს მუდამ.
ადრე ამდგარ კურდღელსაც კი
ვერ ეწევა მწევარი...
გინდა იყავ შავი მუშა,
ექიმი თუ მწერალი.
შენც, უჩიკო, ასე ჰქენი,
დაიხსომე ერთი:
გწამდეს ჩემი დარიგება,
გწამდეს მამა ღმერთი!
სიზარმაცე ყველასათვის
დამღუპველი არის.
მოგადუნებს, დაგაჩლუნგებს,
ძალაც გქონდეს ხარის,
გაიარ-გამოიარე
ყოველ დილით გარე,
თუგინდ საქმე არა გქონდეს,
მოიფიქრე რამე.

ნატვრა უნდა აგისრულდეს

(ვალერი ვეკუას)

მიდიოდა გზაზე კაცი,
ბრაზიანი, დარდიანი,
არცა გალაკტიონი და
არცა ნიკო დადიანი.
ბიბლიაში იქექება,
მასზე ლექსიც გაურითმავს
და თბილისის ქუჩებს იკლებს
ყვირილით და ხმაურითა...
ჯვარცმა გელის და წვალება
და გოლგოთის მწვერვალი,
თუ ხარ ნაღდი პოეტი და
თუ ხარ ნაღდი მწერალი.
გიყვარს პური და მარილი,
ზუთხიცა და სათალიც,
საიათნოვა კი არა ხარ
და არც მირზა ფათალი.
სადაური სად მოსულხარ,
ხვალ სად წახვალ კიდევ, სად?!
როგორ გინდა, აფხაზეთში
ყანას მკიდეს ქიტესა.
ბელზებელი სახელს იცვლის,
შენ რამ გაგაგულისა?
ფრთხილად იყავ,
ფრთხილად იყავ,

შენი მამის სულისავ,
პოეზიის მადლს და სითბოს
და ოლიმპოს დიდება,
შენც ხომ იცი, ლექსი ითხოვს
სულის წვას და დილემას?
მარცვალივით ვკენკავთ სიტყვებს
სპენსერის და კოხისა...
გული გიცემს მეგრის, ძმაო,
სული დრტვინავს კოლხისა.
ბიბლიაში იხედები,
ვხედავ, თავდავიწყებით,
დრო გადნება ხელში, ვიცი,
სანთელივით იწვები.
თუ ასრულდა, რაღა გიჭირს,
მითაჟამის ოცნება,
შენი ლექსით,
შენი ლექსით,
ჯვარიც დაიკოცნება,
ნატვრა უნდა აგისრულდეს
მამიშენის ცხონების,
აფხაზეთში დაბრუნება,
აფხაზეთში ცხოვრება.

2000 წლის 2 იგრიკა
ქ. თბილისი

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

„ ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს
ვის ვუყვარვარ მე“ (ნოე ჩხიკვაძე)

გამომიღეთ სარკმელი
ჩემი წუთისოფლისა,
მხარზე მაწევს სათქმელი
გაუხარელ ყრმობისა,
სიჭაბუკე მომტაცე,
უნაზესო ფერიავ,
შენზე ჩუმი ოცნებაც
ჩემთვის ყველაფერია.
ახლა ვინღა დამეძებს ?!
ახლა ვისღა ვჭირდები ?!
მომიხურეთ ფარდა და
ჩემთვის ჩუმად ვიქნები.
ვაი, როგორ მეცლება
საწუთროის ფიალა ?!
სულ ყველაფერს დავთმობ და
მშობელ მიწას კი არა!
როს მამულზე ვლოცულობ
სულ უბრალოდ,მარტივად,
მაშინ მტკივანა გული,
მართლად გითხრათ, არ მტკივა.
სიყრმიდანვე დავჭრილვარ,
თან დამყვება იარად,

სულ ყველაფერს დავთმობ და
საქართველოს კი არა!
ახლა ვინღა დამეძებს ?!
ახლა ვისღა ვჭირდები ?!
მომიხურეთ ფარდა და
ჩემთვის ჩუმად ვიქნები.

ექსპრომტად

ეს საწუთრო ყველას გვჩაგრავს:
უბრალოს და ბრალიანს,
ყველაფერი,
ყველაფერი,
შევარდნაძის ბრალია!
ამ ცხოვრების სიტკბოც, მწარეც,
გულმა ბევრი დალია,
დღევანდელი თქვენი ყოფა
შევარდნაძის ბრალია!
ახალგაზრდებს ეს ცხოვრება
გახდომიათ გალიად,
სხვისი არა,
ეს იუდა
შევარდნაძის ბრალია!
მე მომავლის იმედით ვარ,
მწამს მაცხოვრის ძალიან,
ღმერთი ყველას თვისას უზღვავს:
უბრალოს და ბრალიანს!

მომაწოდეთ თვალხატულა ყვავილები

სიყვარული? – ულევი,
სიხარული? – ულევი,
აბა სხვას რას ვხედავთ?!
გაზაფხულიც,
რვა მარტიც,
ჩვენ, შვილებმა,
ჩვენ, შვილებმა,
მივულოცოთ დედას!
კი, მამიკოც,
კი, მამიკოც,
გვერდში გვიდგას საიმედოდ ჩვენდა,
მაგრამ მაინც,
სიყვარულით, მოფერებით
ვერავინ ვერ შეედრება დედას!
ვფიქრობთ?
ვდარდობთ?
თუკი რამე გვიხარია,
დედის გული ხომ ყველაფერს ხედავს?
ღმერთო ჩემო!
ღმერთო ჩემო! გეხვეწები,
კიდევ დიდხანს ნუ წამართმევ დედას!
უხარია,
მას უზომოდ უხარია,
თავის შვილებს ბედნიერს რომ ხედავს,

შენ, უფალო,
შენ, უფალო, გევედრები,
საყვარელ შვილს ნუ წაართმევ დედას!
საოცრება,
საოცრება დახატული,
მოსდებია ველ-მინდვრებს და ქედებს,
გაზაფხულო,
მადლიანო გაზაფხულო,
მომაწოდე თვალხატულა ყვავილები,
რომ რვა მარტი მივულოცოთ დედას!

პატარა საქართველოდან...

ფერეიდნელი ქართველების მონოლოგი

ეხ, რა ტკბილია სასმენად,
ქართულ ჰანგებსა მღეროდე,
პატარა საქართველოდან
დიდ დედა საქართველომდე!
მემლეთის იქით – მემლეთი,
რა ვქნა, შენამდე ვერ მოვედ,
პატარა საქართველოდან
დიდ დედა საქართველომდე!
სამასი ?! ძნელი ყოფილა...
დედავ, სულ უნდა მელოდე,
ძნელია, წყლის პირს ხე იდგეს
და მაინც უწყლოდ ხმებოდეს...
პატარა საქართველოდან
დიდ დედა საქართველომდე!
ვაჰ, რა ძნელია ლოდინი,
მონატრებითა დნებოდე,
პატარა საქართველოდან
დიდ დედა საქართველომდე!

ვლადიმერ მაიაკოვსკის მონოლოგი

გათავდა,
ვაი, რა სიმაღლეს მოვწვდები,
ამაოდ დავეძებ დაკარგულ გასაღებს...
მე ვკოცნი,
მე ვკოცნი გიჟური ოცნებით
ქალს, ვნებად ქცეულს, და
იმ ფერად სასახლეს...
მე შარლატანი ვარ,
მსმელი და აშარი,
აიღეთ, ამ ბეჭედს
არა ჰყავს პატრონი,
დამისხით ეგ ღვინო,
ყელი მაქვს გამშრალი...
სანთელი წყვილი და
ჩვენ დავრჩით მარტონი.

სერგი ესენინს

გადაჰკარ, გულო!
სიცოცხლის იქით ვინ რა ეძებოს,
როცა უდაბნო ოხვრასა და ტკივილებს ბადებს,
გადაჰკარ, გულო!
ეს ცხოვრება თუგინდ გვეძნელოს,
ავიტანთ,
მხოლოდ ვერ ავიტანთ ლოთობას ამდენს.
ავანთოთ ისევ, ტალიანკავ, ხსოვნის სანთელი,
ვინ იცის,
იქნებ ავცდეთ წლების მძიმე მარგილებს,
მოდით,
დავალბოთ ღვინის სმაში სულის სარქველი
და მოვიშოროთ ყველა ცოდვა,
რაც ჩვენ გვამძიმებს.
მუსიკა,
ლექსი,
ესეც თქვენი ძველი ლუდხანა,
თუ ბალახინის სხივებია გადავერცხლილი,
ვის ვებრალებით,
ვის ვძულვართ და ან ვის ვუყვარვართ,
სიტყვის სიმართლე აქ იღვრება თავაწყვეტილი...
ჩემო შაგანე!
სიყვარული,ფიცი, გატანა
წავიდა ჩვენგან,
არ არსებობს ჩვენთვის ესენი,
ძნელია ყველა მოგონების ერთად ატანა,

და უფრო ძნელი,
თვითმკვლელობა სერგი ესენინს!
მუსიკა, ლექსი,
ეს ჭორებიც აწყდება თვალებს,
სჯობს მოვერიდოთ
ყველა გრძნობის გამობრწყინებას
და შევსვათ ღვინო,
და გავექცეთ უმთვარო ღამეს
და ყველა ძველი
სევდის ჰიმნი ჩამოგვცილდება.

* * *

მუქდება სივრცე,
მუქდება ზეცა –
ერთ დროს ბრჭყვიალა მთიებით სავსე,
და როგორც წინათ,
შენ დგახარ ისევ
ჩემი ცხოვრების ულურჯეს გზაზე.
არის ქალაქი თეთრი და მშვიდი
და მესმის მწვანე ფოთლების სუნთქვა,
თუმცა ჩემი გზა სულ სხვაგან მიდის,
შენს ყველა ტკივილს მივიტან გულთან.
გადიან წლები,
და წლებთან ერთად
მკრთალდება ძალა ართქმის და ფიცის...
ნუ გიკვირს,
რომ არ გიწამე ღმერთად
და მაინც ვნატრობ შენს ლამაზ სიცილს.

1970 წელი
ქ. სოხუმი

* * *

რა ჰქვია ამ დღეს,
ამ უნაზეს ფერიცვალებას,
ამ ცეცხლს რა ჰქვია,
ძარღვში სისხლის ამოძრავებას?
რა ჰქვია ცრემლებს,
ამ სულის წვას რა ჰქვია ნეტავ,
ამ გიჟურ თრობას
და ოცნების აყვავილებას,
ყელზე გამობმულ ეჟვანივით
თან რომ ვატარებთ?
რა ჰქვია ამ წუთს,
ამ უნაზეს ფერიცვალებას?

1970 წელი
ქ. სოხუმი

მ ი ს ა ლ მ ე ბ ა

ნაზო ყაყაჩო,
ვინ გაჩუქა მწვანე სიცოცხლე,
ლამაზო დღეო!
სად გეწყება ლურჯი სათავე...
ძარღვებო ჩემო სიჭაბუკის,
ნეტავ ვიცოდე,
სად დადუმდებით და სიჩუმით
სად გამათავებთ.
ვერხვის ფოთლებო,
აშრიალდით დღეს მთელ სიცხადით,
თქვენც, ენძელებო,
გაახილეთ ლამაზად თვალი,
ჰა, ჩემი გული,
მეგობრებო, მიწის სიმწვანე,
ჩემი მამულის სილამაზე
მიწა და წყალი,
და საქართველოს
სიძლიერე ფარი და ხმალი.
ხომ ხედავ ახლა,
რა გრძნობებით ვყოფილვარ მთვრალი...

1971 წელი
ქ. სოხუმი

ძველი ფანდური

კვლავ მესიზმრება ცხენისწყალი,
თეთრი აპრილი,
მთანი მაღალნი,
აზიდულნი საკვირველებად...
ახლა მჭირდება
სიტყვის ძალა, როგორც მარილი,
ახლა მჭირდება
სიყვარული და მოფერება.
შენ ალბათ ისევ
ჩამოჯდები ძველი ფანდურით
და ქარი ჩითის წითელ კაბას
კვლავ გიშრიალებს...
ალბათ ცხენისწყალს
გაუმხილე გრძნობა ფარული
და ალბათ იგი მოგიშუშებს იმ ძველ იარებს.

1971 წელი
ქ. სოხუმი

სასაფლაოდ ქცეული სოფელი

როდესაც მონატრებად ქცეულ ჩემს სოფელზე წერას ვიწყებდი, უნებურად გამახსენდა გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „დევების ნასოფლარი“, რომლის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

„ნასოფლარი ბევრი მინახავს, განსაკუთრებით მთაში, დავმჯდარვარ რომელიმე სახლის ჩამოტეხილ თავხეზე და სიჩუმისათვის მომისმენია.

თითქოს მღერის მიტოვებული სახლი. არ ემღერება, მაგრამ მაინც მღერის, ეს სიმღერა სიმარტოვის სიმღერაა, ანდა მოლოდინის. ჰო, ჰო, უფრო მოლოდინის. მიტოვებული სახლი ხომ ქმრისგან მიტოვებულ ქალსა გავს, ჩამოღამებულ, ხელ-მხარ-ჩამოყრილ დარდიან ქალს, რომ არ ეკადრება და მაინც მიატოვეს.

უკაცობით ჩამოტყდა გულთაბოძი, როგორც სახლის გულთაბოძი ტყდება ხოლმე, ისე მიტოვებული ქალის გულთაბოძი ტყდება უკაცობით, მაგრამ გულის-გულში. მიტოვებული სახლის გულის-გულიც მღერის მოლოდინის სიმღერას და მიტოვებული ქალისაც.

სიჩუმეზე უფრო ჩუმია და იმედზე უფრო იმედიანი მოლოდინის სიმღერა.

მოგისმენიათ?

თუ არა, ნახეთ ნასახლარად ქცეული საქართველო და თქვენ გაიგონებთ ამ სიმღერას“...

ჩემი სოფელი ფშაფიც იძულებით მიტოვებული სოფელია, სახლები საძირკველამდე დარღვეული, ღობეებმოშლილი და სომხების ნახირისთვის საბალახოდ ქცეული. სუფთა ქართული სოფელია ფშაფი, ტოპონიმის ძირი – ფშა წყლიან ადგილს ნიშნავს კოლხურად და მარ-

თლაც, რამდენიმე ადგილას წყაროს თვალს შეხვდებოდი, ზოგან მინერალურს, ზოგან თავანკარას.

გოდერძი ჩოხელის მიტოვებულ სოფელსა და ჩემს მიტოვებულ სოფელს შორის არის რაღაც შიშისმომგვრელი სხვაობა. იმ სოფელში, ე. ი. ჩოხში, ალბათ, ერთი სასაფლაოა, ან ორი, შესაძლოა საგვარეულოებად დაყოფილი. ჩემი სოფელი კი მთლიანად სასაფლაოდაა გადაქცეული. ყოველი ქართველის ეზოში თუ არა, ყოველ მესამეში მაინც გადამთიელების მიერ დახოცილთა გვამებია მიბარებული, მართლმადიდებელ ქრისტიანთა გვამები, ზოგიერთი – არამართლმადიდებლური წესით ზეწრებში გახვეულნი...

სოფლის შესასვლელში ჭკადუები, სამუშიები, კვაშილავები, ჩიქოვანები, გეგეჭკორები, ჯალაღონიები და სალიები სახლობდნენ და კიდევ – მათი სომეხი მეზობლები, რომლებიც ჩვეულებრივ განაგრძობენ ცხოვრებას მიტოვებული სოფლის დასაწყისში. მე ვერ ვუძლებ სოფლის სიჩუმეს და ხმამაღლა ვეხმიანები იქაურებს: ფშაფელებო! ჭკადუებო! ჩიქოვანებო! კვაშილავებო! გეგეჭკორებო! სამუშიებო! ჯალაღონიებო! სალიებო! სამარისებული სიჩუმე... შემზარავი გარემო... არადა, როგორი სტუმართმოყვარენი იყვნენ ისინი. უცხოსაც რომ გაევლო შემთხვევით, შინ შემოიპატიჟებდნენ, სუფრას გაუშლიდნენ და მამაპაპურად გაუმასპინძლდებოდნენ, გამოცილებისას თან სთხოვდნენ, კიდევ თუკი მოგიხდეთ ამ სოფელში ჩავლა, აუცილებლად შემოგვეხმაურეთო. ახლა ? ახლა, რამინ სამუშიას, ცატა გეგეჭკორის, ჯალაღონია მაკარის, მისი მეუღლისა და ვაჟიშვილის სულები დასტრიალებენ ხეთა ჩრდილებს, ეკალ- ბარდებად ქცეულ სახლ-კარებს და ღთისაგან და კაცისგან სამართალს ითხოვენ...

ეს ფშაფის შესასვლელში... მე ისევ გზას ვაგრძელებ თვალებზე ცრემლმომდგარი, იდუმალ ფიქრებში ჩაძირული ვუახლოვდები სხულუხიების, კირთაძეების, ლატარიების, უგრეხელიძეების, თუთისანების, ვაშალომიძეების, ბელქანიების, ბებიებისა და წურწუმიების ტყედ ქცეულ ნასახლარებს... რაღაც ბურთისმაგვარი ყელში მეჩხირება, მაგრამ მაინც, იმ იმედით, იქნებ ესენი მაინც გამომეხმაურონ-მეთქი და გავყვირი: სხულუხიებო! კირთაძეებო! ლატარიებო! უგრეხელიძეებო! თუთისანებო! ბებიებო! ვაშალომიძეებო! ბელქანიებო! წურწუმიებო! არა და არა. ზოგჯერ სადღაც, მიუსაფარი ჭოტი დაიკივლებს ხოლმე, ან ჩხიკვი დაიჩხავლებს, თითქოსდა გაგრძნობინებს, რას იკლავ თავს, ხომ ხედავ, არავინ გეხმაურებაო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გარინდებული სულები მისმენენ ბიჭიკო და გივი ლატარიების, სამუშია ვალერის, რევაზ და ქეთო ბებიების, მოგელი და ბოჩია სამუშიების, ფშაფის საშუალო სკოლის მოსწავლეების მარინა და ეკა ჟვანიების (რომელნიც თავიანთ დედას, გვრიტო მესხიას მკერდსჩახუტებულნი მიაკლეს), ცოლქმრის – ხუტა და რაისა სამუშიების, და ძმა ბოჩია და ლუნა სამუშიების, თინა და ლუბა ჩემიების, დების ლეილა და ლამარა სამუშიების...

არა, მე ნამდვილად ვხედავ, თუ როგორ დაფარფატებენ ეკა და მარინა ანგელოზის ფრთებშესხმულნი, როგორ ესალბუნებიან დედის მტკივან გულს და აიმედებენ: „რას დაღონებულხარ, დე, ჩვენ ხომ ანგელოზებად ვიქეცით, ღვთის შვილები ვართ უკვე, ნუ ღელავ, დე, გულსაც მალე მოგირჩენთ და შენს ღიმილსაც მალე ვიხილავთ“. სხვები? სხვა წამებულნი მდუმარედ გაჰყურებენ მათ ზემოთ მოფარფატე სულებს და იმედი ესახებათ, რომ ალბათ, მალე დაბრუნდებიან სოფლიდან გან-

დევნილი მათი დები და ძმები, ბიძაშვილები, მეზობლები და მართლმადიდებლური წესით სანთლებს დაუნთებენ თავიანთ მიცვალებულებს და ჭიქა ღვინოსაც წაუქცევენ, რის შემდეგ სამუდამოდ დაივანებენ იმქვეყნიურ სასუფეველში.

არ თავდება ჩემი სოფლის გზა, იქნებ მუხლები მღალატობს?.. ვუახლოვდები ჩემს ნასახლარს, ენის ქვეშ აბი მაქვს ამოდებული და არ მეშინია, შეუძლოდ რომ გავხდე. თვალისცეცებით ვეძებ ჩემი ბიჭების აკვანს, რომელიც მარნის ჭერზე გვქონდა ჩამოდებული... მარტო ოდასახლის ორი კედელიღა ჩანს ნახევრამდე ჩაშლილი. აი, იქ ბოსელი იყო, სადაც სიყვარულით ეფერებოდნენ თეთრშუბლა ხბოს ბავშვები... ვერ შევდივარ ეზოში, ეკალბარდები არ მიშვებს. თვალდანამული ვტოვებ იქაურობას და გზას ვაგრძელებ.

იქით კვარაცხელიების, არქანიების, ქარდავების, დარსანიების, უგრეხელიძეების, გიორგაძეების, ჟვანიების, დათუნაშვილების, ჩხეტიანებისა და აღსარბების ნასახლარებია. აქაც ჩემს ბზარგარეულ ყვირილს მხოლოდ ეთერ და აპოლონ სამუშიების, მათი ოთხმოცი წლის დედის, მურმან წურწუმიას, მამა-შვილის – შოთა და დავეხ ქარდავების, ასევე მამა-შვილის ტარასი და კუკურ დარსანიების, ბადრი ჟვანიას, შალიკო კვარაცხელიასა და გედევან ჩხეტიანის სულები მეგებებიან გაოგნებულნი. არც ისინი არიან დავანებულნი იმქვეყნიურ საუფლოში, ელიან ახლობლებს და ვინ იცის, სანამ გაგრძელდება ეს ლოდინი. იქნებ არც ისე დიდხანს ? კაცი იმედით ცხოვრობს... ესენი იმ ადამიანთა აჩრდილები არიან, რომლებმაც ფშაფში ჩამოსახლებისთანავე ერთიანად გამიღეს გულისა და სახლის კარებიც. მათ შემაყვარეს იქაურობა თავიანთი განუმეორებელი კოლ-

ხური ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით და სტუმარ-თმოყვარეობით.

სოფლის ბოლოს გაოგნებული და გაოცებული სომხე-ბი, აგერ-ეგერ შემორჩენილები, თუ გამოაჭყეტენ ამ-ღვრეულ, ბოროტ თვალებს ჭუჭრუტანიდან, უკვირთ, რო-მელმა ქართველმა შემობედა ამ გავერანებულ სოფელ-ში და ვერ გადაუწყვეტიათ, შეეხმიანონ თუ არა ვიღაც თავმოძულეს. მათ შიში ზარავთ, იმ ცოდვებისგან გა-მოწვეული შიში, რომელიც მათ ქართველების მიმართ ჩაიდინეს... ისინი ხომ ღვთისგან და კაცისაგან ელიან განაჩენს. ეს დღეც ალბათ მალე დადგება.

2005 წელი
ქ. თბილისი

გურამ სალია

წუთიერი გაელვება... თავბრუსხვევა... ტკივილი... სხეულს თანდათან ტოვებს სული... სხეული ხრწნადია, სული კი, აღზევებული და მამულზე მლოცველი, თვალსაწიერს გადაჰყურებს. ამიტომაც ვამბობთ – მიიცვალა, ე. ი. სხეულმა განისვენა, რაზედაც იტყვიან: „მიწა ხარ და მიწად იქეც"... დიახ, სულით ჩვენთან ხარ, გურამ! მართალია, ჩვენ ვერ ვხედავთ ხორციელს და მიწიერს, მაგრამ, ვგრძნობთ, რომ შენ ყველაში ხარ და ყველგან ხარ. წმინდა ილია მართალმა ხომ დიდებულად თქვა: „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც კი სახელი არ დარჩენია". შენ სამი ათეული წელი გქონდა მხოლოდ გავლილი ამ წუთისოფელში, მაგრამ კაი ყმისა და ნაღდი კოლხის სახელი საკმაოდ ადრე მოიპოვე და აღზევების კვარცხლბეკზე დადექი შენი კაიკაცობითა და თავისთავადი და განუმეორებელი შემოქმედებით. მარტო ის რად ღირს, რომ ქართულ ანბანში ჩადებულ კოდს (რასაც ტაბუ ჰქონდა დადებული ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაჲ"-ის დაწერის შემდგომ და რომელსაც პირველი გასაღები დიდმა ქართველმა რუსთველოლოგმა და მეცნიერმა ზვიად გამსახურდიამ მოარგო...) შენ სხვა კუთხითა და თვალთახედვით ახსნა მოუპოვე, მოვა დრო, როდესაც შენი ნამდვილი სახე მთელი სრული შემოქმედებით წარმოჩნდება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ახლა კი გავიხსენოთ ის უკანასკნელი ლექსი, რომელსაც „უკანასკნელი წერილი" ჰქვია, სადაც წერ: „ფოსტაში გადასინჯეს – დაახარისხეს, ყველას თავისი კუთვნილი ერგო და მხოლოდ მათი დარიგება იყო საჭირო... ერთ წერილს ვერაფერი გაუგო ვერავინ"... ალბათ ის ერთი წერილი შენი შემოქმედებითი კრედოს ახსნა

იყო, გურამ, რომელსაც ბევრი კითხულობდა, მაგრამ ახსნას ვერ პოულობდა, ვერც იპოვიდა, რადგან შენ სხვა მკითხველი გჭირდებოდა, მკითხველი, რომელიც ღრმად ჩაიხედავდა შენს ფილოსოფიურ აზროვნებაში და შთაბეჭდილებებით დატვირთული იტყოდა ხოლმე: ესეც ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში, ქართულ ცნობიერებაში...

მანამ კი, თითქოს წინასწარ ჭვრეტდი შენს მომავალს, როდესაც აცხადებდი: ...„მე ვერ გავცდები ჩემი დაბადების მტანჯველ ორმაგობას, ვითარც მარადიულ კანონს – ქმედებათა საწყისს უკურნებელს...“ რა იყო ნეტავ ეს „უკურნებელი საწყისი“, თუ არა სხეულიდან სულის განდევნისა, ამქვეყნიურიდან მარადისობაში გადასვლისა. თუკი აგრე მწვავედ ჭვრეტდი ღვთის საუფლოში გადასვლას, რა იყო ის ხალასი სიყვარული მოძმისა, მოყვასისა, ერისა და ქვეყნისა, რომელსაც აგრე ღიმილმჩენი გულით დაატარებდი ხოლმე. ან როგორ არიგებდი და ხარჯავდი არა მარტო გულიდან, არამედ აზროვნებიდანაც გამოსხივებულ სითბოსა და სიყვარულს. ან მოლხენა რარიგ გშვენოდა: ფიალას რომ ასწევდი და მამულისა და ქართველობის სადღეგრძელოს მთელი სიამაყით რომ წარმოთქვამდი ისე, რომ შენს გარშემო მყოფთ იმედი და ხალასი განწყობილება დედაბოძივით შეუდგებოდა. ისიც ამ ავბედითობის ჟამს, რაც აფხაზეთში ტრიალებდა იმხანად, რამაც შენი ხალასი სიცოხლე შეიწირა კიდევაც...

როგორ გიყვარდა ფერთა ლაბირინთებში შეჭრა დიდი ქართველი მოაზროვნისა და მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად. ალბათ, ეს ერთგვარი გავლენა იყო სიტყვის იმ დიდოსტატისა, რომლის შემოქმედებას აგრერიგად აღმერთებდი. არა, ეს მდიდარი ლექსიკა

სხვისი კი არა, შენი შემოქმედებისთვისაცაა დამახასიათებელი: „მწვანე ბგერები“, „სევდისფერ გულზე“, „გვიმრისფერი წყურვილი“, „სევდისფერი ჭიკჭიკიდან“, „ლიმონისფერ ბაღნარში“, „სევდისფერი ქრიზანთემა“, „ნაღვლისფერი მარაოს“, „დუმილისფერ ჭრაქში“ – და სხვა.

როგორ მინდა გავიხსენო ერთი დეტალი შენი და ჩემი მეგობრობის დასადასტურებლად, რომელიც აგრე მტკივნეულია ჩემთვის: რაღაც ერთი კვირით განვერიდეთ ომის ქარცეცხლში გახვეულ აფხაზეთს და თბილისში შენს საყვარელ მამიდასთან, ქალბატონ ნათელას ოჯახში დავიდეთ ბინა. თან წამოღებული გვქონდა საბეჭდი მანქანა, რომ გაგეყიდა და ნიშნობის ბეჭედი გეყიდა შენი გულისწორისათვის, ჭირდა ძალიან ომის დროს, ერთი კვირის განმავლობაში ფილარმონიის წინ, მაღაზიის კარებთან ვიყავით ატუზულნი... ესეც შენი ბედის თუ უბედობის დამადასტურებელი ფაქტი... არადა, სხვა გამოსავალი არ გვქონდა. გულზე ბოღმა გვაწვებოდა, არც კი ვიმჩნევდით თითქოს, ერთმანეთს ვანუგეშებდით. შემდეგ ისევ აფხაზეთი... სულ მალე კიდევაც დასრულდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება...

შენ იქ, აფხაზეთში დარჩი, გურამ! ჩვენ აქ, თბილისში ნოსტალგიაშეპყრობილნი იმედით ვცოცხლობთ და თვალი დასავლეთისკენ გვიჭირავს, სადაც ჩვენი ადგილის დედა, ჩვენი სამკვიდროა და კიდევ – მიტოვებული ძვირფასი საფლავები, რომელთაც დიდიხანია არ უხილავთ ახლობლების მიერ დანთებული სანთლები და მამაპაპურად სავსე ჭიქებით ღვინის გადაქცევა. შენც მათ რიგებში ხარ, ჩვენო განუშორებელო მეგობარო, მხოლოდ ერთი განსხვავებით, ალბათ, შენი დაუოკებელი სული ხშირად გადმოვა ხოლმე აღმოსავლეთში და სიზ-

მარში გავესაუბრებით ერთმანეთს. ძალიან ხშირად გვიწევს შენი მოსაგონარი სასმისის აწევა და წარსულის გახსენება. წარსული კი ჩვენთვის ის ქვაკუთხედია და დედაბოძი, რითაც წელში ვიმართებით. ამ ქვაკუთხედს კი შენი სახელიც აწერია – „გურამ!“

2004 წელი
ქ. თბილისი

რიცხვი "ცხრის" საკრალურობა, ანუ 9 აპრილის გადასახედიდან

ქართველთა ცნობიერებაში რიცხვ „ცხრას" ეზოთერული საიდუმლოების დატვირთვა აქვს, როგორიცაა: ცხრაკლიტული (ცნობიერების ცხრაკლიტული, ახლოა ჟამი მისი გახსნისა), ცხრა წყარო (საიდუმლო სიბრძნის გასხივოსნებით წყურვილის დაოკება), ცხრათავიანი დევი (რომლის დამარცხებით ქართველი ერი თავისუფლდება იმპერიული არტახებისგან), ჩხორთოლი (სოფელი სამურზაყანოში, მეგრულად ცხრა თვალს ნიშნავს), ჩხოროწყუ (სოფელი სამეგრელოში, მეგრულად ცხრა წყარო) და ა.შ...

ჩვენი გაგებით, 9 მარტსა და 9 აპრილს უმანკოთა დაღვრილ სისხლსაც მაგიური დატვირთვა აქვს. კერძოდ, ის ინიციაცირებულია თავისუფლებასთან, კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანის (იგავურად საქართველოს, თუ გნებავთ, კავკასიის) განთავისუფლებასთან...

მართალია, 9 მარტის ტრაგედია სტალინის პიროვნებასთან ასოცირდება, მაგრამ თუკი ღრმად ჩავწვდებით ქართველი ერის ფსიქოლოგიას, ამ თარიღსაც შორეული გადასახედისაკენ მივყავართ, რომლის განჭვრეტა ისევ ერის გენზე მიგვანიშნებს...

დღეს ბევრი პოლიტიკოსი 9 აპრილის სისხლიანი დღის თავიდან აცილება-არაცილებაზე დავობს, რაც არამართებულად მიგვაჩნია. რეალობა მხოლოდ იმაშია, რომ ამ ტრაგედიით უფალმა დიდი გამოცდა მოგვიწყო ქართველებს... არ ყოფილიყო 9 აპრილი, არც ერის გამთლიანება იქნებოდა და არც ქვეყნის დამოუკიდებლო-

ბა (დღეს, ყოველ შემთხვევაში, დე იურედ მაინც ვართ დამოუკიდებელი).

იმპერიის შავბნელმა ძალებმა (ჩვენივე რენეგატების ხელშეწყობით) ტანკებით, ხელკეტებით, ორლესული ნიჩბებით და მომწამვლელი საშუალებებით დაგვიხოცეს ბავშვები, ფეხმძიმე ქალები, მეოცნებე ახალგაზრდები და მოხუცები. არც უნდა გაგვიკვირდეს, თუკი კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ბესლანის ტრაგედიას... იქ ხომ მარტო ოსი ეროვნების ბავშვები არ დახოცილან, იქ ხომ სხვა ერის შვილებიც იყვნენ და იმათი შვილებიც, ვინც ჩაიდინა ეს საშინელება...

ბოლშევიკური იდეოლოგიის მანქანა საქართველოში მთელი ერთი საუკუნის მანძილზე ტირანიის კანონებით მოქმედებდა. დაწყებული იმ ავადსახსენებელი 21 წლიდან, რომელსაც მოჰყვა 24-27-56-89 წლები და დამთავრებული 92-93 წლებით... არა, კი არ დამთავრებულა, არამედ დღესაც გრძელდება, ჩვენდა საუბედუროდ, ეს საშინელი კაცთაკვლა. მხოლოდ ერთი განსხვავებით, თუკი ადრე ღიად მოქმედებდნენ, დღეს ნიღაბაფარებულნი განაგრძობენ ძალთა უზურპაციას...

მაპატიოს მკითხველმა, თუკი საუბრის თემას ოდნავ გადავუხვევ და მის გონებრივ მზერას აფხაზეთისკენ მივაპყრობ, თუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობდნენ 9 აპრილამდე აფხაზეთის ქართველობა და, საერთოდ, აფხაზეთის საზოგადოებრიობა.

რუსეთის რეაქციული ძალების წაქეზებით აფხაზი სეპარატისტები საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს ამზადებდნენ ორი მოძმე ერის – აფხაზებისა და ქართველების სისხლიან დასაპირისპირებლად, რომლის ნათელი მაგალითია 1989 წლის 18 მარტის ე. წ. ლიხნის მიტინგზე (გუდაუთაში) აფხაზების მიერ მიღებული რეზოლუცია, რო-

მელშიც პრინციპულად აისახა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა. ფაქტობრივად, ეს რეზოლუცია ედო საფუძვლად იმავე წლის 1 აპრილს გუდაუთაში მომხდარ ინციდენტს და 15-16 ივლისის სოხუმის სისხლიან დაპირისპირებას, რომელსაც მოჰყვა საკმაო მსხვერპლი. სხვათა შორის, ამ დაპირისპირებას შეეწირა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი ვოვა ვეკუა.

ასევე გუდაუთის მოვლენების ლოგიკური გაგრძელება იყო 92-93 წლების საომარი მოქმედებები აფხაზეთში, რომელმაც ორივე მხრივ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამავე დროს ასიათასობით ქართველი საქართველოში გახდა დევნილი.

ზემოხსენებულ რეზოლუციას საქართველოს ყოველი კუთხიდან გამოეხმაურა არა მარტო ქართველობა, არამედ სხვა ერის წარმომადგენლებიც. რაც შეეხება გულრიფშის რაიონს, ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა მოამზადეს და 8 აპრილს რაიონის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები ბატონი აკაკი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. მართალია, მიტინგის გამართვას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ოპოზიციის მხრიდან, მაგრამ მაინც ჩატარდა. მიტინგზე დასწრებას და სიტყვით გამოსვლას ითხოვდნენ „აიდგილარას“ ლიდერები, მაგრამ შესაძლო ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით ჩვენ უარი ვუთხარით, რაზედაც ისინი დაგვთანხმდნენ.

მიტინგმა მშვიდად ჩაიარა. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ლიხნში მიღებული დადგენილების გაუქმება და აფხაზ ლიდერებთან (ძირითადად „აიდგილარასთან“) მოლაპარაკების

გამართვა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო აგრეთვე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა და ეროვნული გვარდიის შექმნა.

დიახ, ეს იყო 8 აპრილს. 9-ში სოხუმში იყო დაგეგმილი ასევე მრავალათასიანი მიტინგის გამართვა, რაც თბილისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით არ შემდგარა...

რა ხდებოდა ამ დროს თბილისში? – „თბილისში 1989 წლის 9 აპრილის დილის ოთხ საათზე ქართული მიწა კვლავ განბანა მოწამებრივმა სისხლმა.

ქაშუეთის ეკლესიის შემოგარენში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლესთან, ეროვნული სულისკვეთებისა და თავისუფლებისათვის მარად მებრძოლ ქართველ ხალხს აღმართული ჰქონდა ჯვარი, წმინდა გიორგის დროშა და ღვთისმშობლის ხატება; ხალხს ხელთ ეპყრა წმინდა სანთლები; ხალხი მღეროდა ეროვნულ სიმღერებსა და ქრისტიანულ საგალობლებს... (აკაკი ბაქრაძე).

გესმით, ხალხნო! იმ ტრაგიკულ ავბედით დილას, როდესაც თბილისის მიწას ჯერ კიდევ უცოდველ კრავთა სისხლის ოხშივარი ასდიოდა, ხალხი ეროვნულ სიმღერებსა და ქრისტიანულ საგალობლებს მღეროდა. ესეც ერთ-ერთი საკრალური მინიშნება ქართველი კაცის ღვთიური შეგონებისა, რადგან ასეთი სიმღერებიდან დიახაც რომ აშუქებს ჩვენს წინაპართა გონი და აზროვნება, ტკივილიცა და სიხარულიც, მიწიერებაცა და ღვთაებრიობაც, ხორციელებაცა და სულიერებაც, ცრემლებიცა და უკეთესი მერმისისადმი გაჯერებული სიმღერებიც. სწორედ ასეთმა საგალობლებმა გააერთიანა სრულიად საქართველო ეროვნული მოძრაობის პატრიარქების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თა-

ოსნობით. დიახ, 9 აპრილს დაღვრილი სისხლი საძირკველი გახდა 1990 წლის მრავალპარტიული უპრეცედენტო არჩევნებისა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და ამავე წლის 9 აპრილს ეროვნული ხელისუფლების მიერ თავისუფლების აქტის აღდგენისა...

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს!

2005 წელი
ქ. თბილისი

ფოტომატიანე

ქ. სოხუმი
1970 წელი

ქ. სოხუმი
1970 წელი

კურსელებთან ერთად.
ქ. სოხუმი
1973 წელი

მეუღლესთან –
კლარა საჯაიასთან ერთად.

ქ. სოხუმი
1974 წელი

1989 წლის 8 აპრილი

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3
და ჩამოკიდეთ ქნარი ძეწნაზე 10
წერილი დედას..... 11
მიმართვა 12
ჩემს ბიჭებს – შავლეგოს და უშანგის..... 13
აფხაზეთს 15
კიდევ ერთხელ დიდგორით 16
იაშთუხას 18
ჯიხაშკარი 20
თქვით, ქალბატონო!..... 21
სიზმარი..... 22
ვილოცოთ მასზე 23
მივუყვები ჯავახეთის აღმართს..... 25
ყველაფერი დავკარგე... 26
შემოდგომის მიწურული 28
ადამიანი 29
მონატრება..... 30
ჩაფიქრება წუთისოფელზე 32
კაი ყოფილა, ბეჩავო 34
რა დიდებული ყოფილა..... 35
უჩიკოს 36
ნატვრა უნდა აგისრულდეს 37
მონატრება..... 39
ექსპრომტად 41
მომაწოდეთ თვალხატულა ყვავილები..... 42
პატარა საქართველოდან... 44
ვლადიმერ მაიაკოვსკის მონოლოგი 45
სერგი ესენინს 46
* * * მუქდება სივრცე... 48
* * * რა ჰქვია ამ დღეს... 49

მისალმება 50
ძველი ფანდური 51
სასაფლაოდ ქცეული სოფელი..... 52
გურამ სალია..... 57
რიცხვი “ცხრის” საკრალურობა, ანუ 9 აპრილის
გადასახედიდან 61

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

„ რაც კი ლაშაზი ზღვის პირეთია,

რაც კი ლაშაზი მთა და მდელოა,

მოწმედ ამისა

მხოლოდ ღმერთია ,

ახლა ის სხვისი საქართველოა"

გულად ძიძიგური დაიბადა 1945 წლის 15 დეკემბერს სოხუმის რაიონის სოფელ იაშთუხაში. 1971 წელს დაამთავრა ქ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1966 წლიდან მუშაობდა ქართული ენის მასწავლებლად სოხუმისა და გულრიფშის რაიონების სხვადასხვა სკოლაში, 1974 წლიდან გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდკაბინეტის მეთოდისტად. აფხაზეთის მოვლენების მუშდეგ 1998 წლიდან ქ. თბილისში მუშაობას აგრძელებს მეთოდკაბინეტის მეთოდისტად. 2005 წლის იანვრიდან დაინიშნა გულრიფშის რაიონის დევნილი გამგეობის განათლებისა და კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

გულად ძიძიგური, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას.

გარდაიცვალა 2010 წლის 29 აპრილს.

მყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ISBN 978-9941-33-920-2